

# საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ფისკალურ წესებთან შესაბამისობა

## 1. ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები

წინამდებარე ინფორმაცია მომზადებულია საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან (მესამე წარდგენა) ერთად და წარმოადგენს 2024 წლის ბოლოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართული „2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით“ წარმოდგენილ საშუალოვადიანი ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებთან შედარებით ანალიზს.

პოსტპანდემიური მაღალი ეკონომიკური ზრდის შემდეგ 2024 წელსაც შენარჩუნდა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი და წლიურმა ზრდამ 9.7% შეადგინა. ეკონომიკურ ზრდაში კვლავ წარმმართველია მოხმარება და საგარეო სექტორი. ამ დროს, კვლავ გაგრძელდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა, რამაც ეკონომიკურ აქტივობაზე კვლავ დადებითი გავლენა მოახდინა. გასულ წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 35.4%-ით გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს, ხოლო 2023 წელთან შედარებით ზრდამ 7.3% შეადგინა. მიუხედავად ფულადი გზავნილების შემცირებისა, რაც ძირითადად რუსეთიდან შემცირებულ ფულად ჩარიცხვებს უკავშირდება, რუსეთის გამორიცხვით აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ მზარდია.

დადებითი და გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური ტენდენციები გაგრძელდა 2025 წელსაც. პირველ კვარტალში ეკონომიკურმა ზრდამ 9.9 პროცენტი შეადგინა, მეორე კვარტლის ზრდა კი 7.4 პროცენტზე დაფიქსირდა. რაც შეეხება მესამე კვარტალს, წინასწარი მონაცემებით, საშუალოდ 6.5 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას ჰქონდა ადგილი, 6.5, 6.6 და 6.4 პროცენტიანი ზრდებით, შესაბამისად ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში. წინასწარი შეფასებით, პირველ 9 თვეში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 7.7 პროცენტი შეადგინა. 2025-2028 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრების წინასწარ პროგნოზებში 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6.0 პროცენტს შეადგენდა, 2026-2029 წლების პროგნოზების მიხედვით კი 2025 წელს მოსალოდნელია 7.2 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, თუმცა პირველი 9 თვის მონაცემებით ეკონომიკა მოსალოდნელზე უფრო მაღალი ტემპით იზრდება და აღნიშნული შეფასება კონსერვატიულ პროგნოზებს ეყრდნობა. რაც შეეხება საშუალოვადიან პროგნოზებს, ეკონომიკური ზრდის საშუალო საპროგნოზო მაჩვენებელი 5.2 პროცენტზეა 2026-2029 წლებისთვის. საბაზისო სცენართან ერთად ასევე წარმოდგენილია ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები, რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა რისკის რეალიზაციის ალბათობებით, რაც ეკონომიკაზე დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს.

წარმოდგენილ ცხრილებში 2026-2029 წლების ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებული პროგნოზები შედარებულია 2024 წლის დეკემბერში წარმოდგენილ 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონზე თანდართულ ცხრილებთან. არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და მსოფლიოში მიმდინარე ვითარებიდან გამომდინარე, კვლავ არ არის მკაფიო მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღების სისწრაფე და გართულებულია ეკონომიკური აქტივობების პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, კვლავ არის მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის მატერიალიზაციის რისკი, თუმცა ამავე დროს, 2025 წლის არსებულ (იანვარ-ნოემბერი) ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში შეინიშნება

როგორც შიდა, ისე - გარე ფაქტორების მოსალოდნელზე მაღალი აქტივობა და ეკონომიკური ზრდის დაგეგმილზე კიდევ უფრო მეტი პოტენციალი. არსებული ფაქტორების გათვალისწინებით, 2025 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უფრო მაღალ მაჩვენებელზეა პროგნოზირებული და 7.2 პროცენტს შეადგენს, ხოლო საშუალოვადიანი პროგნოზები 5.2 პროცენტის ფარგლებშია წარმოდგენილი, 2024 წლის დეკემბერში წარმოდგენილი 5.2 პროცენტიანი პროგნოზის მსგავსად. ამასთან, გლობალურად მიმდინარე სხვადასხვა მოვლენების ფონზე და მიმდინარე წლის პირველი 10 თვის ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით გაზრდილია 2025 წლის ფასების ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლები და ასევე შეცვლილია საგარეო სექტორთან დაკავშირებული ინდიკატორები.

**ცხრილი №1. ძირითადი ვარაუდები და დაშვებები**

	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
<b>რეალური მშპ-ს ზრდა, %</b>						
წინა პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	9.0%	6.0%	5.0%	5.2%	5.3%	
ახალი პროგნოზი	9.7%	7.2%	5.0%	5.2%	5.3%	5.3%
სხვაობა	0.7%	1.2%	0.0%	0.0%	0.0%	
<b>მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება</b>						
წინა პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	3.1%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%	
ახალი პროგნოზი	4.9%	4.7%	4.1%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	1.8%	1.7%	1.1%	0.0%	0.0%	
<b>საპროცენტო განაკვეთი სესხებზე, %</b>						
წინა პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	15.2%	14.2%	13.2%	12.2%	11.2%	
ახალი პროგნოზი	15.0%	14.0%	13.0%	12.0%	11.0%	10.0
სხვაობა	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2%	-0.2	
<b>საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე, %</b>						
წინა პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	10.5%	9.9%	9.4%	8.9%	8.4%	
ახალი პროგნოზი	9.4%	8.9%	8.4%	7.9%	7.4%	6.9%
სხვაობა	-1.0%	-1.0%	-1.0%	-1.0%	-1.0	

ცხრილი №1 გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილში შეტანილია 2024 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს ფაქტობრივი მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. 2024 წელს ეკონომიკური ზრდა პროგნოზთან შედარებით მაღალი აღმოჩნდა (0.7 პროცენტული პუნქტით), რაც გამოწვეულია როგორც შიდა, ასევე - საგარეო მოთხოვნის გაუმჯობესებით, რამაც ეკონომიკის მოსალოდნელზე მაღალი აქტივობა განაპირობა. აქედან გამომდინარე, შეიცვალა და უფრო მაღალ დონეზე დაფიქსირდა 2025 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი და 7.2 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი 9 თვის მდგომარეობით ეკონომიკური ზრდა ხასიათდება ზრდის სწრაფი ტენდენციით.

გაზრდილია მშპ-ს დეფლატორის 2024 წლის ფაქტობრივი დონე, რამაც გამოიწვია როგორც 2025, ისე - 2026 წლების საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდაც დეკემბრის პროგნოზთან შედარებით, ხოლო საშუალოვადიანი პერიოდის მშპ დეფლატორთან დაკავშირებულ პროგნოზებს შორის განსხვავება არ შეინიშნება. მიმდინარე პერიოდში დეფლატორის არსებული პროგნოზი გამოწვეულია ძირითადად სურსათზე გაზრდილი ფასებით და მაღალი ეკონომიკური აქტივობის შედეგად გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნით. შედარებით მაღალი ინფლაციური მოლოდინები აისახა საპროცენტო განაკვეთების ტრაექტორიაზეც, თუმცა კლების მიმართულებით განსხვავება 2024 წლის დაბალმა

ფაქტობრივმა მონაცემმა გამოიწვია. ზოგადი ფასების დონისა და მათ შორის მშპ-ს დეფლატორის ცვლილების შედეგად, შესაბამისად გადაიხედა ნომინალური მშპ-ს პროგნოზებიც.

**ცხრილი №2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება**

/მლნ ლარი/

	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
ნომინალური მშპ-ის წინა პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	90 895.2	99 239.4	107 327.4	116 295.7	126 133.2	
ნომინალური მშპ-ის ახალი პროგნოზი	93 022.3	104 406.7	114 121.8	123 657.8	134 118.0	145 463.0

ცხრილი №2 გვიჩვენებს ნომინალური მშპ-ს პროგნოზების ცვლილებას საშუალოვადიან პერიოდში. 2024 წლის ნომინალური მშპ-ს ფაქტობრივი მნიშვნელობა მშპ-ს წინა პროგნოზს (2024 წლის დეკემბერი) აღემატება, რაც გარკვეულწილად გამოწვეულია მოხმარების მოსალოდნელზე მაღალი მაჩვენებლით. როგორც ზემოთ აღინიშნა, მიმდინარე ტენდენციების ფონზე, 2025 წლის რეალური მშპ-ს ზრდის ახალი პროგნოზი აღემატება 2024 წლის პროგნოზს და ამასთან ერთად გაზრდილია დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელიც 2025 წელს, შესაბამისად, გაზრდილია ნომინალური მშპ-ს პროგნოზიც როგორც 2025 წლისთვის, ისე - საშუალოვადიანი პერიოდისთვის.

**ცხრილი №3. ნაერთი ბიუჯეტი**

/მლნ ლარი/

	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
შემოსავლების პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	25 616.0	27 665.0	29 850.0	32 100.0	34 750.0	
შემოსავლების პროგნოზი (2025 წლის ნოემბერი)	25 721.9	28 266.2	29 721.3	32 200.0	34 750.0	37 500.0
<i>ცვლილება</i>	<i>105.9</i>	<i>601.2</i>	<i>-128.7</i>	<i>100.0</i>	<i>0.0</i>	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	28 435.0	30 659.0	32 695.0	35 050.0	37 840.0	
ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის პროგნოზი (2025 წლის ნოემბერი)	28 357.5	30 967.8	32 945.2	35 435.0	38 100.0	41 005.0
<i>ცვლილება</i>	<i>-77.5</i>	<i>308.8</i>	<i>250.2</i>	<i>385.0</i>	<i>260.0</i>	

ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია №3 ცხრილში. პროგნოზირებულთან შედარებით დაფიქსირებული მაღალი ეკონომიკური ზრდის გამო (9 თვეში რეალური ზრდა - 7.7% და დეფლატორის ზრდა - 4.2%), 2025 წლის საგადასახადო შემოსავლების მობილიზების დონე აღემატება წინა წელს დაგეგმილ გადასახადების ტემპს, რომელიც 6%-იანი ეკონომიკური ზრდისა და 3%-იანი დეფლატორის მიხედვით იყო დაგეგმილი. შესაბამისად მცირედით გაზრდილია ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები (გარდა 2026 წლისა, როდესაც პროგნოზი უმნიშვნელოდ არის შემცირებული).

აღსანიშნავია, რომ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების კლების მიმართულებით იმოქმედა შემდეგმა ფაქტორებმა:

- პროგნოზთან შედარებით შემცირდა მოგების გადასახადი საფინანსო სექტორიდან, რაც წინა წლის მოგების კორექტირებით იყო გამოწვეული;
- 2025 წლის პირველ თვეებში თამბაქოს აქციზის დაგროვებითი ეფექტის გამო შემცირებული იყო აქციზის გადასახადი.
- ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ სექტორებმა, რომლებიც გათავისუფლებულები არიან გადასახადებისაგან (მაგ.; IT სექტორი).

თუმცა, 2025 წელს აღნიშნული ფაქტორების კომპენსირება ხდება სხვა ტიპის გადასახადებით. ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით საბაზისო ეფექტის გამო, 2026 წლის გადასახადები ამ ეტაპზე შედარებით კონსერვატიული პარამეტრებით დაიგეგმა, რამაც წინა პროგნოზთან შედარებით შემოსავლების პროგნოზის მცირედით შემცირება გამოიწვია.

რაც შეეხება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელს, მისი პროგნოზები ეფუძნება ფისკალური პოლიტიკის ფარგლებში დეფიციტის მოცულობას და მხარჯავი დაწესებულებების საჭიროებებს.

**ცხრილი №4 საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამით გათვალისწინებული მოდიფიცირებული დეფიციტი:**

% მშპ-სთან	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2025-2028 წლების პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	2.2%	
2026-2029 წლების პროგნოზი (2025 წლის ნოემბერი)	-2.3%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	2.2%

რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშის ბალანსს დოლარებში, საპროგნოზო მაჩვენებლები უმნიშვნელოდაა გაუმჯობესებული 2025-2028 წლებისთვის. ძირითადი ცვლილება მოდის მისი შიდა კომპონენტების კომპოზიციის ცვლილებაში. 2025 წლიდან მნიშვნელოვნად უმჯობესდება სავაჭრო ბალანსის პროგნოზი. წინა პროგნოზისგან განსხვავებით სხვადასხვა მიმართულებითაა შეცვლილი პირველადი და მეორადი შემოსავლების ტენდენციები. თუმცა, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ წინა პროგნოზთან შედარებით პირველადი შემოსავლების ბალანსი მეტად გაუმჯობესდება, რაც მხოლოდ ნაწილობრივ იქნება დაკომპენსირებული მეორადი შემოსავლების უფრო ნეგატიური ბალანსით, საბოლოოდ იწვევს იმას, რომ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი უმჯობესდება, წინა პროგნოზთან შედარებით.

ცხრილი №5 მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

/მლნ აშშ დოლარი/

მიმდინარე ანგარიში	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	მოსალოდ.	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
მიმდინარე ანგარიში - ძველი პროგნოზი (2024 წლის დეკემბერი)	-1 586.4	-1 573.3	-1 593.4	-1 650.6	-1 724.7	
<b>ცვლილებები სულ</b>	<b>-226.3</b>	<b>77.2</b>	<b>138.5</b>	<b>131.3</b>	<b>138.9</b>	
წმინდა ექსპორტი	-394.2	143.6	559.9	634.4	717.2	
პირველადი შემოსავალი	-67.1	114.4	94.3	137.6	144.5	
მეორადი შემოსავალი (ტრანსფერები)	-100.8	-90.7	52.5	-41.6	-110.7	
<b>მიმდინარე ანგარიშის პროგნოზი (2025 წლის ნოემბერი)</b>	<b>-1 812.8</b>	<b>-1 496.1</b>	<b>-1 455.0</b>	<b>-1 519.3</b>	<b>-1 585.8</b>	<b>-1 636.6</b>

იმის გათვალისწინებით, რომ დოლარებში გამოსახული მიმდინარე ანგარიში ბალანსი გაუმჯობესებულია და საშუალოვადიან პერიოდში გაზრდილია ნომინალური მშპ-ს პროგნოზიც, ძირითადად გაუმჯობესების მიმართულებითაა შეცვლილი მისი კომპონენტების მშპ-სთან ფარდობაც. 2025 წლიდან გაუმჯობესებულია სავაჭრო ბალანსი და პირველადი შემოსავალი, ხოლო გაუარესებულია მეორადი შემოსავალი.

## 2. ფისკალური ჩარჩო და ფისკალურ წესებთან შესაბამისობა

### 2.1 ფისკალური ჩარჩოს შედარება

ამ ნაწილში განახლებული, 2026-2029 წლების საშუალოვადიანი ფისკალური პროგნოზები შედარებულია 2022-2024 წლებში მომზადებულ და მიმდინარე წლის ივლისში განახლებულ საშუალოვადიან პროგნოზებთან.

როგორც დოკუმენტის პირველ ნაწილშია აღნიშნული, 2022-2024 წლებში მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი, დადებითი და გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური პარამეტრები დაფიქსირდა, რაც გაგრძელდა 2025 წელსაც, თუმცა შემდგომი წლების პროგნოზები კვლავ კონსერვატიულად არის დაგეგმილი. წინა წლებში შემოსავლების ზრდასთან ერთად შესაძლებელი გახდა ხარჯვითი ნაწილის გაზრდა და არსებული საჭიროებების დასაფინანსებლად. ამასთან, შენარჩუნებული იყო, როგორც კაპიტალური მიმართულებებით დაგეგმილი საპროგნოზო ბიუჯეტი, ასევე დეფიციტის და ვალის მაჩვენებელი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების ფარგლებში.

### საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები

2023-2026 წლების პროგნოზებში, რომელიც მომზადდა 2022 წლის ბოლოს, 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები დაიგეგმა 25,7 მლრდ ლარის ოდენობით, რამაც მშპ-სთან მიმართებაში 25.4% შეადგინა. შემდგომი წლების პროგნოზების გადახედვა და განახლება ხორციელდებოდა არსებული ტენდენციების გათვალისწინებით და 2025-2028 წლების პროგნოზებში, რომელიც მომზადდა 2024 წლის ბოლოს, მნიშვნელოვნად გაიზარდა და 29,9 მლრდ ლარი შეადგინა (მშპ-ს 27,8%). მიმდინარე წლის პროგნოზიც არსებული ტენდენციების გათვალისწინებით განახლდა და გაიზარდა წინა პროგნოზებთან შედარებით, წარმოდგენილი პროგნოზით შეადგენს 29,7 მლრდ ლარს, რაც მშპ-ს 26%-ია. ასევე საშუალოვადიან პერიოდშიც შემოსავლების პროგნოზები შენარჩუნებულია 26%-ის ფარგლებში.

შემოსავლების პროგნოზების შედარება და მშპ-სთან პროცენტული ცვლილებები მოცემულია №6 ცხრილში:

ცხრილი №6 - შემოსულობების პროგნოზები

დასახელება	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
<b>შემოსავლები</b>							
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	20 805.0	22 076.0	23 794.0	25 704.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	21 640.0	24 398.0	26 124.0	27 788.0	29 868.0		
<i>ცვლილება</i>	<i>835.0</i>	<i>2 322.0</i>	<i>2 330.0</i>	<i>2 084.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	22 124.2	25 616.0	27 665.0	29 850.0	32 100.0	34 750.0	
<i>ცვლილება</i>	<i>484.2</i>	<i>1 218.0</i>	<i>1 541.0</i>	<i>2 062.0</i>	<i>2 232.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	22 124.2	25 721.9	27 665.0	29 850.0	32 100.0	34 750.0	37 651.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	22 124.2	25 721.9	28 266.2	29 721.3	32 200.0	34 750.0	37 500.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>601.2</i>	<i>-128.7</i>	<i>100.0</i>	<i>0.0</i>	<i>-151.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>105.9</i>	<i>601.2</i>	<i>-128.7</i>	<i>100.0</i>	<i>0.0</i>	
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>							

/მლნ ლარი/

დასახელება	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	350.0	300.0	300.0	250.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	350.0	350.0	300.0	300.0	300.0		
<i>ცვლილება</i>	<i>0.0</i>	<i>50.0</i>	<i>0.0</i>	<i>50.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	433.5	500.0	500.0	300.0	300.0	300.0	
<i>ცვლილება</i>	<i>83.5</i>	<i>150.0</i>	<i>200.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	433.5	559.2	500.0	300.0	300.0	300.0	300.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	433.5	559.2	520.0	350.0	350.0	350.0	350.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>20.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>59.2</i>	<i>20.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>	
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>							
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	440.0	130.0	130.0	130.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	420.0	270.0	130.0	130.0	130.0		
<i>ცვლილება</i>	<i>-20.0</i>	<i>140.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	228.4	230.0	320.0	250.0	250.0	250.0	
<i>ცვლილება</i>	<i>-191.6</i>	<i>-40.0</i>	<i>190.0</i>	<i>120.0</i>	<i>120.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	228.4	252.4	320.0	250.0	250.0	250.0	250.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	228.4	252.4	220.0	420.0	300.0	300.0	300.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-100.0</i>	<i>170.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>22.4</i>	<i>-100.0</i>	<i>170.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>	
<b>შემოსავლები</b>							
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	26.1%	25.6%	25.4%	25.4%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	27.3%	28.4%	28.1%	27.6%	27.5%		
<i>ცვლილება</i>	<i>1.2%</i>	<i>2.8%</i>	<i>2.7%</i>	<i>2.2%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	27.4%	28.2%	27.9%	27.8%	27.6%	27.6%	
<i>ცვლილება</i>	<i>0.1%</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.2%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.1%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	27.4%	28.0%	27.6%	27.5%	27.3%	27.3%	27.2%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	27.4%	27.7%	27.1%	26.0%	26.0%	25.9%	25.8%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.5%</i>	<i>-1.5%</i>	<i>-1.3%</i>	<i>-1.3%</i>	<i>-1.4%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.5%</i>	<i>-0.8%</i>	<i>-1.8%</i>	<i>-1.6%</i>	<i>-1.6%</i>	<i>25.8%</i>
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>							
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	0.4%	0.3%	0.3%	0.2%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	0.4%	0.4%	0.3%	0.3%	0.3%		
<i>ცვლილება</i>	<i>0.0%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.1%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	0.5%	0.6%	0.5%	0.3%	0.3%	0.2%	
<i>ცვლილება</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	0.5%	0.6%	0.5%	0.3%	0.3%	0.2%	0.2%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	0.3%	0.3%	0.2%	0.4%	0.2%	0.2%	0.2%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.3%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.3%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.2%</i>
<b>ფინანსური აქტივების კლება</b>							
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	0.6%	0.2%	0.1%	0.1%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	0.5%	0.3%	0.1%	0.1%	0.1%		
<i>ცვლილება</i>	<i>0.0%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	0.3%	0.3%	0.3%	0.2%	0.2%	0.2%	
<i>ცვლილება</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.1%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	0.3%	0.3%	0.3%	0.2%	0.2%	0.2%	0.2%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	0.3%	0.3%	0.2%	0.4%	0.2%	0.2%	0.2%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.2%</i>

2026 წელს საგარეო ვალის ნაწილში ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი შეადგენს მშპ-ს 4,4%-ს. გასათვალისწინებელია, რომ 2026 წლის პროგნოზი ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელით გამოშვებული, 2026 წელს დასაფარი ევროობლიგაციის რეფინანსირებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ევროობლიგაციის რეფინანსირება წარმოადგენს საბაზისო დაშვებას და გადაწყვეტილება რეფინანსირების შესახებ მათ შორის ინსტრუმენტის ტიპის,

მოცულობის და სხვა სპეციფიკაციების შესახებ განხილვის საგანია და აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნება 2025 წლის განმავლობაში.

2026-2029 წლებში ვალდებულებების ზრდა მშპ-სთან მიმართებაში საშუალოდ 3,5%-ის ფარგლებშია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №7) წარმოდგენილია ვალდებულებების ზრდის პროგნოზების შედარება:

**ცხრილი №7 - ვალდებულებების ზრდის პროგნოზები**

დასახელება	<i>(მლნ ლარი)</i>							
	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
<b>ვალდებულებების ზრდა</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	3 582.0	3 584.0	3 560.0	3 660.0	5 020.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	3 722.8	3 210.0	3 259.0	3 625.0	4 985.0	3 835.0		
<i>ცვლილება</i>	<i>140.8</i>	<i>-374.0</i>	<i>-301.0</i>	<i>-35.0</i>	<i>-35.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	3 722.7	3 447.6	3 335.0	3 356.0	5 020.0	3 865.0	4 060.0	
<i>ცვლილება</i>	<i>-0.1</i>	<i>237.6</i>	<i>76.0</i>	<i>-269.0</i>	<i>35.0</i>	<i>30.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	3 733.8	3 469.3	3 266.6	3 425.3	5 150.0	4 000.0	4 200.0	4 445.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	3 733.8	3 469.3	3 266.6	3 127.3	5 063.1	4 400.0	4 700.0	5 000.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-298.0</i>	<i>-86.9</i>	<i>400.0</i>	<i>500.0</i>	<i>555.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>11.1</i>	<i>21.7</i>	<i>-68.4</i>	<i>-228.7</i>	<i>43.1</i>	<i>535.0</i>	<i>640.0</i>	
<b>მ.შ. საშინაო</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	1 240.0	1 340.0	1 460.0	1 560.0	1 620.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	1 337.3	1 330.0	1 420.0	1 525.0	1 585.0	1 685.0		
<i>ცვლილება</i>	<i>97.3</i>	<i>-10.0</i>	<i>-40.0</i>	<i>-35.0</i>	<i>-35.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	1 337.2	1 437.7	1 465.0	1 530.0	1 570.0	1 665.0	1 760.0	
<i>ცვლილება</i>	<i>-0.1</i>	<i>107.7</i>	<i>45.0</i>	<i>5.0</i>	<i>-15.0</i>	<i>-20.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	1 348.3	1 459.4	1 527.3	1 600.0	1 700.0	1 800.0	1 900.0	2 045.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	1 348.3	1 459.4	1 527.3	1 600.0	1 800.0	2 000.0	2 200.0	2 500.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>100.0</i>	<i>200.0</i>	<i>300.0</i>	<i>455.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>11.1</i>	<i>21.7</i>	<i>62.3</i>	<i>70.0</i>	<i>230.0</i>	<i>335.0</i>	<i>440.0</i>	
<b>მ.შ. საგარეო</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	2 342.0	2 244.0	2 100.0	2 100.0	3 400.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	2 385.5	1 880.0	1 839.0	2 100.0	3 400.0	2 150.0		
<i>ცვლილება</i>	<i>43.5</i>	<i>-364.0</i>	<i>-261.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	2 385.5	2 009.9	1 870.0	1 826.0	3 450.0	2 200.0	2 300.0	
<i>ცვლილება</i>	<i>0.0</i>	<i>129.9</i>	<i>31.0</i>	<i>-274.0</i>	<i>50.0</i>	<i>50.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	2 385.5	2 009.9	1 739.3	1 825.3	3 450.0	2 200.0	2 300.0	2 400.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	2 385.5	2 009.9	1 739.3	1 527.3	3 263.1	2 400.0	2 500.0	2 500.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-298.0</i>	<i>-186.9</i>	<i>200.0</i>	<i>200.0</i>	<i>100.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-130.7</i>	<i>-298.7</i>	<i>-186.9</i>	<i>200.0</i>	<i>200.0</i>	
	<b>% მშპ-თან</b>							
<b>ვალდებულებების ზრდა</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	5.0%	4.5%	4.1%	3.9%	5.0%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	5.2%	4.0%	3.8%	3.9%	5.0%	3.5%		
<i>ცვლილება</i>	<i>0.2%</i>	<i>-0.5%</i>	<i>-0.3%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	5.1%	4.3%	3.7%	3.4%	4.7%	3.3%	3.2%	
<i>ცვლილება</i>	<i>0.0%</i>	<i>0.2%</i>	<i>-0.1%</i>	<i>-0.5%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.2%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	5.1%	4.3%	3.6%	3.4%	4.7%	3.4%	3.3%	3.2%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	5.1%	4.3%	3.5%	3.0%	4.4%	3.6%	3.5%	3.4%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.4%</i>	<i>-0.3%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.2%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.4%</i>	<i>-0.2%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.3%</i>	<i>3.4%</i>
<b>მ.შ. საშინაო</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	1.7%	1.7%	1.7%	1.7%	1.6%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	1.9%	1.7%	1.7%	1.6%	1.6%	1.5%		
<i>ცვლილება</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>			

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	1.8%	1.8%	1.6%	1.5%	1.5%	1.4%	1.4%	
<i>ცვლილება</i>	<i>0.0%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.1%</i>	<i>-0.1%</i>	<i>-0.1%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	1.9%	1.8%	1.7%	1.6%	1.6%	1.5%	1.5%	1.5%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	1.9%	1.8%	1.6%	1.5%	1.6%	1.6%	1.6%	1.7%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.2%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.2%</i>	<i>1.7%</i>
<b>მ.შ. საგარეო</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	3.2%	2.8%	2.4%	2.2%	3.4%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	3.3%	2.4%	2.1%	2.3%	3.4%	2.0%		
<i>ცვლილება</i>	<i>0.1%</i>	<i>-0.4%</i>	<i>-0.3%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	3.3%	2.5%	2.1%	1.8%	3.2%	1.9%	1.8%	
<i>ცვლილება</i>	<i>0.0%</i>	<i>0.1%</i>	<i>-0.1%</i>	<i>-0.4%</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.1%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	3.3%	2.5%	1.9%	1.8%	3.2%	1.9%	1.8%	1.7%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	3.3%	2.5%	1.9%	1.5%	2.9%	1.9%	1.9%	1.7%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.4%</i>	<i>-0.3%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.4%</i>	<i>-0.4%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>1.7%</i>

მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით, განახლებულ პროგნოზებში გაიზარდა 2024 წელს მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების ნაწილი. მიმდინარე ხარჯების 2024 წლის ფაქტიურმა ხარჯებმა მშპ-ს 22,8% შეადგინა. 2025 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები პროგნოზირებულია 23,7 მლრდ ლარის ოდენობით, რაც მშპ-ს 22,7%-ის ფარგლებშია. ამასთან, 2026 წლის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად შეადგენს 36,3 მლრდ ლარს, რომლის ფარგლებშიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებები.

კაპიტალური ხარჯების პროგნოზი 2025 წელს შეადგენს 7,4 მილიარდ ლარს, რაც მშპ-ს 7,1%-ია.

ამასთან, 2026-2029 წლებში მიმდინარე ხარჯები მშპ-ს 22,2%-ის, ხოლო კაპიტალური ხარჯები მშპ-ს 6,5-7%-მდეა შენარჩუნებული.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №8) წარმოდგენილია მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები:

**ცხრილი №8 - მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროგნოზები**

დასახელება	მლნ ლარი							
	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
<b>ხარჯები</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	15 743.0	17 416.0	18 364.0	19 832.0	21 357.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	15 610.9	17 841.0	20 071.0	21 792.0	23 558.0	25 520.0		
<i>ცვლილება</i>	<i>-132.1</i>	<i>425.0</i>	<i>1 707.0</i>	<i>1 960.0</i>	<i>2 201.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	15 616.1	17 913.6	20 760.0	23 030.0	25 345.0	27 250.0	29 440.0	
<i>ცვლილება</i>	<i>5.2</i>	<i>72.6</i>	<i>689.0</i>	<i>1 238.0</i>	<i>1 787.0</i>	<i>1 730.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	15 616.1	17 913.6	20 692.2	23 030.0	25 345.0	27 250.0	29 440.0	31 838.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	15 616.1	17 913.6	20 692.2	23 747.5	25 251.6	27 535.0	29 800.0	32 005.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>717.5</i>	<i>-93.4</i>	<i>285.0</i>	<i>360.0</i>	<i>167.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-67.8</i>	<i>717.5</i>	<i>-93.4</i>	<i>285.0</i>	<i>360.0</i>	
<b>კაპიტალური ხარჯები</b>								
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	5 935.0	6 120.0	5 910.0	6 310.0	6 690.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	5 968.2	6 479.0	6 907.0	6 680.0	6 620.0	6 940.0		
<i>ცვლილება</i>	<i>33.2</i>	<i>359.0</i>	<i>997.0</i>	<i>370.0</i>	<i>-70.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	5 968.2	6 532.9	7 675.0	7 629.0	7 350.0	7 800.0	8 400.0	
<i>ცვლილება</i>	<i>0.0</i>	<i>53.9</i>	<i>768.0</i>	<i>949.0</i>	<i>730.0</i>	<i>860.0</i>		

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	5 968.2	6 532.9	7 665.3	7 629.0	7 350.0	7 800.0	8 400.0	9 048.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	5 968.2	6 532.9	7 665.3	7 220.3	7 693.6	7 900.0	8 300.0	9 000.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-408.7</i>	<i>343.6</i>	<i>100.0</i>	<i>-100.0</i>	<i>-48.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-9.7</i>	<i>-408.7</i>	<i>343.6</i>	<i>100.0</i>	<i>-100.0</i>	
<b>ფინანსური აქტივების ზრდა</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	390.0	320.0	250.0	250.0	250.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	443.5	290.0	227.0	260.0	260.0	265.0		
<i>ცვლილება</i>	<i>53.5</i>	<i>-30.0</i>	<i>-23.0</i>	<i>10.0</i>	<i>10.0</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	443.5	320.4	210.0	301.0	280.0	280.0	230.0	
<i>ცვლილება</i>	<i>0.0</i>	<i>30.4</i>	<i>-17.0</i>	<i>41.0</i>	<i>20.0</i>	<i>15.0</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	443.5	320.4	320.1	301.4	280.0	280.0	230.0	230.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	443.5	320.4	320.1	178.7	400.0	400.0	400.0	350.0
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>-122.7</i>	<i>120.0</i>	<i>120.0</i>	<i>170.0</i>	<i>120.0</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0</i>	<i>0.0</i>	<i>110.1</i>	<i>-122.3</i>	<i>120.0</i>	<i>120.0</i>	<i>170.0</i>	
<b>% მშპ-თან</b>								
<b>ხარჯები</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	21.8%	21.9%	21.3%	21.2%	21.1%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	21.6%	22.5%	23.3%	23.4%	23.4%	23.5%		
<i>ცვლილება</i>	<i>-0.2%</i>	<i>0.6%</i>	<i>2.1%</i>	<i>2.2%</i>	<i>2.3%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	21.4%	22.1%	22.8%	23.2%	23.6%	23.4%	23.3%	
<i>ცვლილება</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.5%</i>	<i>-0.2%</i>	<i>0.2%</i>	<i>0.0%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	21.4%	22.1%	22.5%	23.0%	23.4%	23.2%	23.1%	23.0%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	21.4%	22.1%	22.2%	22.7%	22.1%	22.3%	22.2%	22.0%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.2%</i>	<i>-1.2%</i>	<i>-0.9%</i>	<i>-0.9%</i>	<i>-1.0%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.6%</i>	<i>-0.5%</i>	<i>-1.5%</i>	<i>-1.2%</i>	<i>-1.1%</i>	<i>22.0%</i>
<b>კაპიტალური ხარჯები</b>								
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	8.2%	7.7%	6.8%	6.7%	6.6%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	8.3%	8.2%	8.0%	7.2%	6.6%	6.4%		
<i>ცვლილება</i>	<i>0.0%</i>	<i>0.5%</i>	<i>1.2%</i>	<i>0.4%</i>	<i>0.0%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	8.2%	8.1%	8.4%	7.7%	6.8%	6.7%	6.7%	
<i>ცვლილება</i>	<i>-0.1%</i>	<i>-0.1%</i>	<i>0.4%</i>	<i>0.5%</i>	<i>0.3%</i>	<i>0.3%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	8.2%	8.1%	8.3%	7.6%	6.8%	6.6%	6.6%	6.5%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	8.2%	8.1%	8.2%	6.9%	6.7%	6.4%	6.2%	6.2%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.1%</i>	<i>-0.7%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.4%</i>	<i>-0.4%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.2%</i>	<i>-0.8%</i>	<i>-0.1%</i>	<i>-0.3%</i>	<i>-0.5%</i>	<i>6.2%</i>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	0.5%	0.4%	0.3%	0.3%	0.2%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	0.6%	0.4%	0.3%	0.3%	0.3%	0.2%		
<i>ცვლილება</i>	<i>0.1%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>			
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	0.6%	0.4%	0.2%	0.3%	0.3%	0.2%	0.2%	
<i>ცვლილება</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>		
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	0.6%	0.4%	0.3%	0.3%	0.3%	0.2%	0.2%	0.2%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	0.6%	0.4%	0.3%	0.2%	0.4%	0.3%	0.3%	0.2%
<i>ცვლილება ივლისის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>-0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>
<i>ცვლილება 2024 წლის დეკემბრის პროგნოზთან</i>	<i>0.0%</i>	<i>0.0%</i>	<i>0.1%</i>	<i>-0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.1%</i>	<i>0.2%</i>

ამასთან აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 9 თვის ანალიზის გათვალისწინებით გადაიხედა როგორც რეალური ეკონომიკური ზრდის, ასევე სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრები. გარდა ამისა, გადაიხედა ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ასევე მისი ხარჯვითი ნაწილიც, სადაც ერთის მხრივ გამოვლინდა რიგი პროგრამებისთვის დამატებითი რესურსების გამოყოფის აუცილებლობა, ხოლო მეორეს მხრივ რიგ პროგრამებში სხვადასხვა მიზეზით მიმდინარე წელს წარმოიქმნა გარკვეული რესურსები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დამატებითი საჭიროებების დაფინანსებას, ასევე გამოთავისუფლებული რესურსის მიმართვას იმ პრიორიტეტული პროგრამების/პროექტების დაფინანსებაზე, რომელთა განსახორციელებლად საკმარისი რესურსი გათვალისწინებული არ იყო 2026 წლის ბიუჯეტში, შესაბამისად წარმოდგენილი ცვლილებები მომზადებულია 2026 წლის ბიუჯეტთან ერთად.

## 2.2 საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური ჩარჩოს შესაბამისობა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ფისკალურ წესებთან

### 2.2.1 ბიუჯეტის დეფიციტი

წარმოდგენილი პროგნოზებით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგი პარამეტრების ფარგლებში:

- 2026 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო შეადგენს 2 893,9 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მშპ-ს 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ს 3%);
- 2026 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა განისაზღვრება მშპ-ს 33.5%-ით (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%), მათ შორის, გათვალისწინებულია საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულება (2026 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინასწარი მონაცემებით), რაც არ ახდენს გავლენას მთავრობის ვალის ზღვრულ მოცულობაზე მშპ-სთან მიმართებაში.

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობაც 2025 წელს (-2 853,9) მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

ნაერთი ბიუჯეტის და სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გათვალისწინებული მოდიფიცირებული დეფიციტის პროგნოზები მოცემულია №9 ცხრილში.

### ცხრილი №9 - ბიუჯეტის დეფიციტის პროგნოზები

#### ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (დეფიციტი)

დასახელება	/მლნ ლარი/							
	2022 ფაქტი	2023 ფაქტი	2024 ფაქტი	2025 პროგნოზი	2026 პროგნოზი	2027 პროგნოზი	2028 პროგნოზი	2029 პროგნოზი
ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-2 011.0	-2 381.0	-1 898.0	-2 048.0	-2 093.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-1 766.0	-2 330.0	-2 230.0	-2 048.0	-2 090.0	-2 292.0		
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	-1 771.1	-1 888.8	-2 319.0	-2 494.0	-2 545.0	-2 650.0	-2 790.0	

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	-1 771.2	-1 888.8	-2 076.4	-2 494.0	-2 545.0	-2 650.0	-2 790.0	-2 935.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	-1 771.1	-1 888.8	-2 076.4	-2 181.6	-2 873.9	-2 885.0	-3 000.0	-3 155.0
<b>მოდულირებული დეფიციტი (IMF პროგრამა)</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-2 251.0	-2 261.0	-2 018.0	-2 168.0	-2 213.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-2 203.0	-2 200.0	-2 187.0	-2 178.0	-2 220.0	-2 427.0		
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	-2 208.1	-1 977.5	-2 299.0	-2 475.0	-2 575.0	-2 680.0	-2 770.0	
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	-2 208.1	-1 977.5	-2 171.0	-2 475.0	-2 575.0	-2 680.0	-2 770.0	-2 915.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	-2 208.1	-1 977.5	-2 171.0	-2 560.3	-2 853.9	-2 985.0	-3 100.0	-3 205.0
<b>% მშპ-თან</b>								
<b>ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-3.1%	-2.8%	-2.3%	-2.3%	-2.2%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-3.0%	-2.8%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%		
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	-3.0%	-2.4%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%	
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	-3.0%	-2.4%	-2.4%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%	-2.1%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	-3.0%	-2.4%	-2.3%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%
<b>მოდულირებული დეფიციტი (IMF პროგრამა)</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-3.1%	-2.8%	-2.3%	-2.3%	-2.2%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-3.0%	-2.8%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%		
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	-3.0%	-2.4%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%	
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	-3.0%	-2.4%	-2.4%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%	-2.1%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	-3.0%	-2.4%	-2.3%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%

### სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო (დეფიციტი)

/მლნ ლარი/

დასახელება	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
	ფაქტი	ფაქტი	ფაქტი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი	პროგნოზი
<b>სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-1 963.0	-2 261.0	-1 868.0	-2 083.0	-2 153.0			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-1 600.5	-2 346.0	-2 177.0	-2 158.0	-2 167.0	-2 396.0		
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	-1 600.5	-1 781.8	-2 144.0	-2 454.0	-2 770.0	-3 040.0	-3 240.0	
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	-1 600.5	-1 781.8	-1 746.3	-2 454.0	-2 770.0	-3 040.0	-3 240.0	-3 358.0
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	-1 600.5	-1 781.8	-1 746.3	-2 561.6	-2 893.9	-3 020.0	-3 080.0	-3 235.0
<b>% მშპ-თან</b>								
<b>სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის მთლიანი სალდო</b>								
2023-2026 (2022 წლის დეკემბერი)	-2.7%	-2.8%	-2.2%	-2.2%	-2.1%			
2024-2027 (2023 წლის დეკემბერი)	-2.2%	-3.0%	-2.5%	-2.3%	-2.2%	-2.2%		
2025-2028 (2024 წლის დეკემბერი)	-2.2%	-2.2%	-2.4%	-2.5%	-2.6%	-2.6%	-2.6%	
2026-2029 (2025 წლის ივლისი)	-2.2%	-2.2%	-1.9%	-2.4%	-2.6%	-2.6%	-2.5%	-2.4%
2026-2029 (2025 წლის ნოემბერი)	-2.2%	-2.2%	-1.9%	-2.5%	-2.5%	-2.4%	-2.3%	-2.2%

### 2.2.2. მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მთავრობის ვალის საპროგნოზო მაჩვენებლებში ცვლილება მიმდინარე წელს მომზადებულ პროგნოზებთან შედარებით ძირითადად გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის დაგეგმილზე მაღალი მაჩვენებლით, გაცვლითი კურსის ცვლილებით, ასევე საგარეო დაფინანსებით გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტების ფარგლებში, ათვისებიდან გამომდინარე, დაგეგმილზე ნაკლები ჩამორიცხვით. აღნიშნულის შესაბამისად, მიმდინარე წლის ივლის-სექტემბერში გაკეთებულ

პროგნოზებთან შედარებით შემცირებულია მთავრობის ვალის პორტფელის მოცულობა და მისი შეფარდება მშპ-სთან.

მთავრობის ვალის პორტფელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა ვალის პორტფელში საგარეო ვალის წილის მაღალი დონე (2020 წელს 79%, 2024 წლის ბოლოსთვის - 70%), რის იწვევს ვალის მაჩვენებლების მოწყვლადობას სავალუტო კურსის ნეგატიური შოკების მიმართ. შესაბამისად, მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2025-2029 ([https://mof.ge/ka/fl/mtavrobis\\_valis\\_martvis\\_strategia?page=1](https://mof.ge/ka/fl/mtavrobis_valis_martvis_strategia?page=1)) ვალის მშპ-სთან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნებასთან ერთად, ორიენტირებულია მთლიან ვალში საგარეო ვალის წილის შემცირებაზე. 2025 წლის მიმდინარე მდგომარეობით, საგარეო ვალის წილი მთლიან პორტფელში შეადგენს 68%-ს და ვალის პორტფელის დეკომპოზიცია ახლოსაა საშუალოვადიანი პერიოდისთვის აღებულ სამიზნე მაჩვენებლებთან (საგარეო - 65%, საშინაო - 35%).

აღსანიშნავია, რომ პანდემიის დროს გაზრდილი ვალის მშპ-სთან ფარდობის უსაფრთხო დონეზე (40%) დაბრუნება მოხდა ეფექტურად, სტრატეგიის შესამაბისად. ეს მაჩვენებელი ამჟამადც ნარჩუნდება უსაფრთხო დონის ქვევით და სამომავლოდაც ინარჩუნებს კლებად ტენდენციას. 2025 წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია მთავრობის ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებლის შემცირება 34.1%-მდე, 2026 წლის ბოლოსთვის 33.5%-მდე, ხოლო 2029 წლის ბოლომდე კი 32.9%-მდე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი №10) წარმოდგენილია მთავრობის ვალის პროგნოზები 2026-2029 წლებისთვის:

**ცხრილი №10 - მთავრობის ვალის მოცულობების პროგნოზების შედარება**

(მლნ ლარი)

მთავრობის ვალი	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი
2022-2025 წლები (2021 წლის დეკემბერი)	29,905	33,123	35,348	37,413	39,417				
% მშპ-სთან	51.1%	51.1%	50.2%	49.0%	47.7%				
2023-2026 წლები (2022 წლის დეკემბერი)	29,812	28,609	30,539	32,679	34,799	36,819			
% მშპ-სთან	49.7%	39.6%	38.3%	37.8%	37.2%	36.4%			
2024-2027 წლები (2023 წლის დეკემბერი)	29,812	28,538	30,291	32,711	35,150	37,783	40,368		
% მშპ-სთან	49.7%	39.5%	38.2%	38.0%	37.8%	37.6%	37.1%		
2025-2028 წლები (2024 წლის ივლისი)	29,812	28,538	31,482	33,694	35,872	38,348	40,946	43,575	
% მშპ-სთან	49.7%	39.8%	39.2%	38.4%	37.7%	37.3%	36.7%	36.1%	
2025-2028 წლები (2024 წლის სექტემბერი)	29,812	28,538	31,482	32,714	35,827	37,593	40,171	42,883	
% მშპ-სთან	49.1%	39.2%	39.2%	36.5%	36.8%	35.7%	35.2%	34.6%	
2025-2028 წლები (2024 წლის ნოემბერი)	29,812	28,538	31,482	33,431	35,619	38,007	40,636	43,402	
% მშპ-სთან	49.1%	39.2%	38.9%	36.8%	35.9%	35.4%	34.9%	34.4%	
2026-2029 წლები (2025 წლის ივლისი)	29,812	28,538	31,482	33,169	35,619	38,007	40,636	43,402	46,302
% მშპ-სთან	49.1%	39.2%	38.9%	36.1%	35.5%	35.0%	34.6%	34.0%	33.5%
2026-2029 წლები (2025 წლის სექტემბერი)	29,812	28,538	31,482	33,169	36,376	38,572	41,448	44,483	47,664
% მშპ-სთან	49.1%	39.2%	38.9%	36.1%	35.9%	34.9%	34.6%	34.2%	33.8%
2026-2029 წლები (2025 წლის ნოემბერი)	29,812	28,538	31,482	33,169	35,590	38,216	41,115	44,343	47,914
% მშპ-სთან	49.1%	39.2%	38.9%	36.1%	34.1%	33.5%	33.2%	33.1%	32.9%

### 3. ფისკალური პარამეტრების ციკლორობა და ფისკალური პოლიტიკა

ფისკალური პოლიტიკის შეფასების ერთ-ერთი მიდგომაა, განისაზღვროს მისი დისკრეციული ნაწილი და გაანალიზდეს, აღნიშნული ეკონომიკური ციკლების სხვადასხვა ეტაპზე (ციკლის შესაფასებლად გამოიყენება მიმდინარე მშპ-ს პოტენციური მშპ-დან გადახრის პროცენტული მაჩვენებელი - ე.წ. „გეპი“) რა გავლენას ახდენდა ეკონომიკის აქტივობაზე. ამისათვის საჭიროა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- განისაზღვროს ეკონომიკის ციკლის სიდიდე;
- ამის შემდგომ, ფისკალური პოლიტიკიდან გამოირიცხოს ციკლის გავლენა, რაც ციკლურად შესწორებული ფისკალური ინდიკატორების გამოთვლას გულისხმობს; და
- არსებული ციკლურად შესწორებული ინდიკატორების საფუძველზე შეფასდეს ე.წ. ფისკალური იმპულსი და გაანალიზდეს იგი ეკონომიკის ციკლთან მიმართებაში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მშპ-ს „გეპი“ შეფასებულია ფინანსთა სამინისტროს კვარტალური პროგნოზირების მოდელის მიერ, სადაც ინტეგრირებულია ე.წ. „კობ-დუგლასის“ საწარმოო ფუნქცია. აღნიშნულის მეშვეობით ხდება პოტენციური მშპ-ს შეფასება მოდელის ფარგლებში<sup>1</sup>, სადაც ეკონომიკის მთლიან აქტივობას განსაზღვრავს სამუშაო ძალა, კაპიტალის მოცულობა და ფაქტორების პროდუქტიულობა.

შეფასებული „გეპის“ მეშვეობით ხდება ფისკალური პარამეტრების და საქართველოს შემთხვევაში ძირითადად შემოსავლების არსებული მონაცემებიდან ე.წ. ციკლური კომპონენტის გამოთვლა და ინდიკატორების ციკლურად შესწორება. თუ ეკონომიკა თავის პოტენციურ დონეზე მეტად ვითარდება და არსებობს მშპ-ს დადებითი „გეპი“, მიჩნეულია, რომ გადასახადების დისკრეციული ნაწილი არის ფაქტიურთან შედარებით მცირე და გადასახადები უნდა შესწორდეს შემცირების მიმართულებით (რადგან ციკლური ნაწილი გამოწვეული იყო ეკონომიკის პოზიციის გამო და არა დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის გამო) და პირიქით, თუ ეკონომიკაში არის მშპ-ს უარყოფითი „გეპი“, რეალური მონაცემები ზრდის მიმართულებით კორექტირდება.

ციკლურად შესწორებული პარამეტრების საშუალებით გამოითვლება ციკლურად შესწორებული ბალანსი და შესაბამისად ე.წ. ფისკალური პოზიცია, რომელიც ციკლურად შესწორებული ბიუჯეტის საპირისპირო ნიშნით. საბოლოო მიზანი კი არის ე.წ. ფისკალური იმპულსის გამოთვლა, რომელიც მიმდინარე და წინა წლის ფისკალურ პოზიციებს შორის სხვაობას წარმოადგენს. ფისკალური იმპულსის დასათვლელად გამოიყენება ე.წ. ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი, სადაც გაანგარიშებებისას ამოღებულია ხარჯებში არსებული როგორც შიდა, ისე - გარე ვალის პროცენტის მომსახურება.

ყველაზე მარტივი მიდგომით ფისკალური იმპულსისა და მშპ-ს „გეპის“ კომბინაციით შესაძლებელია შეფასდეს ფისკალური პოლიტიკის ციკლორობა - იგი ანტიციკლურია თუ პროციკლური. ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს დადებით ფისკალურ იმპულსს

<sup>1</sup> ფინანსთა სამინისტროს კვარტალური პროგნოზირების მოდელის მეთოდოლოგია გამოქვეყნებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე კვლევითი პუბლიკაციის სახით:

<https://www.mof.ge/files/download/MOF.GE%20model%20working%20paper%20GEO.pdf/c1bd114f-ecce-41c2-abe6-25bc2da9331f>

უარყოფითი გეპის დროს და პირიქით, უარყოფით იმპულსს იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მშპ პოტენციურ დონეს აღემატება (დადებითი „გეპი“).

ამის გარდა, ფისკალური პოლიტიკის ზომის შეფასებისთვის შესაძლოა ე.წ. სტრუქტურული დეფიციტის დათვლაც, რომელიც ციკლურად შესწორებული ბიუჯეტიდან კიდევ გამორიცხავს ბიუჯეტზე მოქმედ როგორც დადებით, ისე - უარყოფით ერთჯერად ეფექტებს, რომელთაც მომავალ წელს ადგილი ვერ ექნება. შესაბამისად, გაანგარიშებიდან ამოღებულია კოვიდზე გაწეული ხარჯები (რამაც სტრუქტურული დეფიციტი შეამცირა), ბანკების მოგების გადასახადის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად ბიუჯეტში შემოსული გადასახადის ერთჯერადი ეფექტი (რამაც სტრუქტურული დეფიციტი გაზარდა) და ევროკომისიის მეთოდოლოგიის მიდგომით პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, რადგან კონკრეტული აქტივის პრივატიზაცია მხოლოდ ერთხელ ხდება (რამაც გაზარდა დეფიციტი).

**ცხრილი №11. სტრუქტურული ფისკალური ინდიკატორები**

დასახელება	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2029
რეალური მშპ-ს ზრდა	10.6%	11.0%	7.8%	9.7%	7.2%	5.0%	5.2%	5.3%	5.3%
პოტენციური მშპ-ს ზრდა	4.6%	5.4%	8.7%	9.8%	7.4%	5.3%	5.4%	5.4%	5.4%
<b>მშპ-ს GAP</b>	<b>-3.4%</b>	<b>1.7%</b>	<b>0.9%</b>	<b>0.8%</b>	<b>0.7%</b>	<b>0.4%</b>	<b>0.2%</b>	<b>0.1%</b>	<b>0.0%</b>
ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	-6.3%	-2.2%	-2.2%	-1.9%	-2.6%	-2.7%	-2.5%	-2.3%	-2.1%
ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	-5.1%	-1.3%	-0.7%	-0.3%	-0.9%	-1.0%	-0.8%	-0.6%	-0.3%
ციკლური კომპონენტი	-1.7%	0.8%	0.4%	0.4%	0.3%	0.2%	0.0%	0.0%	0.0%
ციკლურად შესწორებული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	-4.8%	-3.2%	-2.6%	-2.3%	-2.9%	-2.9%	-2.5%	-2.3%	-2.1%
ციკლურად შესწორებული ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	-3.4%	-2.1%	-1.2%	-0.7%	-1.2%	-1.2%	-0.8%	-0.6%	-0.3%
ერთჯერადი ფაქტორები	2.8%	0.1%	-0.6%	-0.8%	-0.5%	-0.3%	-0.3%	-0.2%	-0.2%
პრივატიზაცია -	-0.7%	-0.7%	-0.6%	-0.6%	-0.5%	-0.3%	-0.3%	-0.2%	-0.2%
COVID ხარჯები +	3.5%	0.8%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ბანკების მოგება -	0.0%	0.0%	0.0%	-0.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
სტრუქტურული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	-1.9%	-3.1%	-3.2%	-3.1%	-3.4%	-3.2%	-2.7%	-2.5%	-2.3%
სტრუქტურული ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	-0.6%	-2.1%	-1.7%	-1.5%	-1.7%	-1.5%	-1.0%	-0.8%	-0.6%
<b>ფისკალური იმპულსი</b>	<b>0.7%</b>	<b>-1.3%</b>	<b>-1.0%</b>	<b>-0.5%</b>	<b>0.5%</b>	<b>0.0%</b>	<b>-0.4%</b>	<b>-0.2%</b>	<b>-0.2%</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2025-26 წლებში მშპ-ს დადებითი „გეპი“ შემცირდება, თუმცა კვლავ დადებითი იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში იგი თანდათან მცირდება და განულდება.

გაანგარიშებები მომზადებულია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ოპერაციებზე, რომლის დეფიციტიც არ უნდა იყოს 3 პროცენტზე მეტი, ფისკალური წესების მიხედვით.

აღნიშნული ცხრილის მიხედვით, ფისკალური პოლიტიკა მირითადად ანტიციკლური ან ნეიტრალურია. კერძოდ, კოვიდის განმავლობაში და პოსტკოვიდური პერიოდის სწრაფად ცვალებადი ეკონომიკური აქტივობის შემდეგ. არსებული საშუალოვადიანი პროგნოზების მიხედვით, 2026-2029 წლებში, ფისკალური იმპულსი კონტრაციკლურია, გამონაკლისს წარმოადგენს 2026 წელი, სადაც ფისკალური იმპულსისა და მშპ-ს „გეპის“ მნიშვნელობები იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ითქვას, რომ ფისკალური პოლიტიკა ნეიტრალური იქნება და არ გამოიწვევს მშპ-ს „გეპის“ ზრდას ან კლებას.